შპს „მაიკომფორტჯორჯია“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "მაიკომფორტჯორჯია"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	168162	348040	217825	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	652204	384550	29874	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	438000			
მარაგები	590060	321166		3.1
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	590060	321166		
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	51907	32730	9206	3.2
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	1900333	1086486	256905	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	738101	405911	21597	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	12992			3.3
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	250	250	90095	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	368680	333169		3.4
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	1120023	739330	111692	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	30000	30000	40170	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	750310	317156	105043	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	780310	347156	145213	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1900333	1086486	256905	
მოკლევადიანი აქტივები, სულ:	1410426	1053756	9206	
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	751343	406161	111692	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 17.02.2022 წ.

დირექტორი _____ დავით დათუკიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი წაწილი.

შპს "მაიკომფორტჯორჯია"

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	ანგარიშგებო პერიოდი		
	2020	2019	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	2733867	1906744	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	2733867	1906744	
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1798200	-1397853	3.5
საერთო მოგება	935667	508891	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-224268	-107034	
ცვეთა და ამორტიზაცია	-12512	-6071	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-29217	-34772	
იჯარის ხარჯი	-30000		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-206516	-159071	
სულ საოპერაციო ხარჯები	-502513	-306948	3.6
საოპერაციო მოგება	433154	201943	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან			
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი			
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	433154	201943	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	433154	201943	3.7
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	433154	201943	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	347156	145213	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	780310	347156	3.7

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 17.02.2022 წ.

დირექტორი _____ დავით დათუკიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "მაიკომფორტჯორჯია"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-179878	130215
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**-179878**	**130215**
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**348040**	**217825**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	***168162***	***348040***

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 17.02.2022 წ.

დირექტორი _____ **დავით დათუკიშვილი**

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. **შპს „მაიკომფორტჯორჯია“** (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს **შეზღუდული** პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს **კანონმდებლობის** შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2018 წლის 16 თებერვალს **სსიპ „საჯარო** რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს **კანონის** შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 402076837, **იურიდიული მისამართი:** ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დიღმის მასივი, III კვარტალი, **კორპუსი 20, ბინა 64.** კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორი არის საქართველოს **მოქალაქე ფიზიკური** პირი: **დავით დათუკიშვილი**, 100% -ის წილის მფლობელი.

1.3. კომპანიის დირექტორია დავით დათუკიშვილი.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საყოფაცხოვრებო **პროდუქციის** საბითუმო და საცალო ვაჭრობა რეალიზაცია.

1.5. 2020 წლის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებულ **თანამშრომელთა** რიცხოვნობა შეადგენდა 30 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება **1 იანვრიდან 31** დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს **მსს ფასს**-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და

აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საეჭვო მოთხოვნად ან უიმედო ვალად.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების, ასევე შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური

მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

კომპანიის მარაგები 2020 წლის ბოლოს შედგებოდა:

შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი საქონელი, სულ - 590 060 ლარი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოფასება არ მომხდარა, რადგან კომპანია მიიჩნევს, რომ მისი ყველა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა 2020 წლის ბოლოს ლიკვიდურია (რეალიზებადია) თვითღირებულებაზე არანაკლებ ფასად.

3.2. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

2020 წელს, გაიყიდა 2 ძირითადი საშუალება ავტომანქანა, რომელთა ღირებულება იყო 9 110 ლარი, ხოლო დარიცხული ცვეთა შეადგენდა 3 154 ლარს.

2020 წელს შეძენილ იქნა 37 345 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებების ისტორიული (თავდაპირველი) ღირებულება შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 51 907 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 32 731 ლარი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 21 569 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 12 211 ლარი.

2020 წლის განმავლობაში დარიცხულმა ძირითადი საშუალებების ცვეთამ შეადგინა 12 512 ლარი.

3.3. საგადასახადო ვალდებულებები:

31.12.2020 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა მიმდინარე საგადასახადო დავალიანება 12 992 ლარი,რომელიც გადასახადების სახეობების მიხედვით შედგებოდა შემდეგი თანხებისაგან :

მოგების გადასახადი - 762 ლარი:

საშემოსავლო გადასახადი - 2 551 ლარი;

დღგ - 9 204 ლარი;

ქონების გადასახადი - 475 ლარი;

3.4. მიღებული გრძელვადიანი სესხები.

კომპანიის გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები როგორც **31.12.2020 წ., ასევე** 31.12.2019 წ. მდგომარეობით, მთლიანად შედგებოდა „საქართველოს **ბანკიდან" აღებული** სესხებისაგან. 2020 წლის ბოლოს, „საქართველოს ბანკის" წინაშე **არსებული სასესხო** დავალიანება სულ შეადგენდა 368 680 ლარს,

3.5. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2020 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები შედგებოდა:

საქონლის გაყიდვიდან მიღებული - 2 733 867 ლარი.

3.6. საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო ხარჯები:

2020 წელს მიწოდების, საერთო-ადმინისტრაციული და სხვა **საოპერაციო ხარჯები** შედგებოდა:

ხელფასი - 224 268 ლარი;

ძირითადი საშუალებების ცვეთა - 12 512 ლარი;

ფართის იჯარა - 30 000 ლარი;

რეკლამის ხარჯები - 3 021 ლარი;

საოფისე ინვენტარი - 8 026 ლარი

საბანკო ხარჯები - 3 781 ლარი;

საპროცენტო ხარჯები -29 217 ლარი

სხვა საერთო-ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები - **206 516 ლარი.**

სულ - **502 513** ლარი.

3.7. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2020 წლის შედეგების მიხედვით, კომპანიამ მიიღო მოგება **433 154 ლარის** ოდენობით, მაგრამ არ მიუღია გადაწყვეტილება მოგების **განაწილების შესახებ.** შესაბამისად, 2020 წელს კომპანიას არ წარმოეშვა მოგების გადასახადის **ხარჯი.**

2020 წლის დეკემბრის ბოლოს მდგომარეობით კომპანიის გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 750 310 ლარს, ხოლო სულ საკუთარი კაპიტალი - 780 310 ლარს.

3.8. სასამართლო დავები:

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელსაც. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, კომპანიას მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები არ შექმნია (მოხდა შემოსავლების მცირე შემცირება) და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2021 წლის ბოლოს დასრულდა კომპანიის საგადასახადო შემოწმება, რომელმაც მოიცვა 2018-2020 წლები და 2021 წლის პირველი 6 თვე. საგადასახადო შემოწმების შედეგების ძირითადი ნაწილი ამჟამად გასაჩივრებულია შემოსავლების სამსახურში. კომპანია იმედოვნებს, რომ წარდგენილი საჩივრის განხილვა დასრულდება მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებით.

2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 17 თებერვლამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 17 თებერვალს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს "მაიკომფორტჯორჯია"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	168162	348040	217825	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	652204	384550	29874	
სხვა პირებზე გადანაწილებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	438000			
მარაგები	590060	321166		3.1
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	590060	321166		
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	51907	32730	9206	3.2
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილოვარიან ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	**1900333**	**1086486**	**256905**	
ვალდებულებები				
საოჯახო ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	738101	405911	21597	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	12992			3.3
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	250	250	90095	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	368680	333169		3.4
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	**1120023**	**739330**	**111692**	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (საქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	30000	30000	40170	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	750310	317156	105043	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	**780310**	**347156**	**145213**	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**1900333**	**1086486**	**256905**	
მოკლევადიანი აქტივები, სულ:	1410426	1053756	9206	
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	751343	406161	111692	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 17.02.2022 წ.

დირექტორი _____ დავით დათუკიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "მაიკომფორტჯორჯია"

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	2020	2019	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	**2733867**	**1906744**	3,5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	2733867	1906744	
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**-1798200**	**-1397853**	3,5
საერთო მოგება	**935667**	**508891**	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-224268	-107034	
ცვეთა და ამორტიზაცია	-12512	-6071	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-29217	-34772	
იჯარის ხარჯი	-30000		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-206516	-159071	
სულ საოპერაციო ხარჯები	**-502513**	**-306948**	3,6
საოპერაციო მოგება	**433154**	**201943**	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან			
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი			
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	**433154**	**201943**	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	**433154**	**201943**	3,7
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	**433154**	**201943**	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**347156**	**145213**	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**780310**	**347156**	3,7

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 17.02.2022 წ.

დირექტორი _____ დავით დათუკიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "მაიკომფორტჯორჯია"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	187672	164627
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	194693	725766
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-450912	-683476
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**-68547**	**206917**
სავალუტო კურსის ეფექტი	6089	258
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**502758**	**295583**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	***440300***	***502758***

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 02.02.2022 წ.

დირექტორი _____ **დავით დათუკიშვილი**

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.